საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაკის ღვთისმშობლის ეკლესია



ვაკის ღვთისმშობლის ეკლესია, ერთნავიანი პატარა ეკლესია, თეთრიწყაროდან 4–5 კმ-ზე, სოფ. ვაკის ჩრდ.-დას-ით. აღმ. სარკმლის თავზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერის მიხედვით იგი აგებულია 1341, გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში. გადახურულია ცილინდრული კამარით. აღმ-ით აქვს კონქით დასრულებული ნალისებრი ფორმის ღრმა აფსიდი. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. შიგნითა კედლები ნაგებია ნატეხი ქვით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ადგილები თლილი ქვითაა ამოყვანილი. ინტერიერი შელესილი და მოხატული იყო, ქვის კანკელი დამსხვრეულია (ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში). ერთსაფეხურიან ბაქანზე აღმართული ეკლესიის ფასადები შემოსილი იყო ლამაზად ნაწყობი თლილი ქვის კვადრებით. ფასადები სადაა, 3 სარკმლიდან მხოლოდ აღმოსავლეთის სარკმელია მორთული კედლის სიღრმეში ჩაკვეთილი ორიგინალურ-წნულიანი ჩარჩოთი.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ნ., ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ი., ალგეთი, თბ., 1985; ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., XIV საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ვაკეში, «საქართვ. მეცნ. აკად. მოამბე», 1950, ტ. 11, №3.

პ. ზაქარაია